

ფაზი TOPSIS მიდგომის გამოყენება საექსპერტო ლინგვისტური შეფასებებით

ირინა ხუციშვილი

irina.khutsishvili@tsu.ge

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ. 13, 0186, თბილისი, საქართველო

მოხსენებაში წარმოდგენილია მრავალ-ატრიბუტული ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია დაფუძნებული TOPSIS (Technique for Order Performance by Similarity to Ideal Solution) მიდგომაზე ფაზი გარემოში. განიხილება შემთხვევა, როდესაც როგორც ატრიბუტების მნიშვნელობების, ისე ატრიბუტების წონების საექსპერტო შეფასებები მოცემულია ლინგვისტური ცვლადების სახით. გადაწყვეტილების მიმღებებთან ჯგუფის მიერ მოცემული ლინგვისტური თერმები ფორმალიზებულია ფაზი-სამკუთხა რიცხვებით.

TOPSIS მეთოდში ალტერნატივების რანჟირება კეთდება როგორც ფაზი-დადებით იდეალურ, ისე ფაზი-უარყოფით იდეალურ გადაწყვეტილებებთან მანძილის სიახლოვის მიხედვით. შემოთავაზებული მეთოდოლოგიის ილუსტრირების მიზნით განიხილება გადაწყვეტილების მიღების მაგალითი.

საკვანძო სიტყვები: მრავალ-ატრიბუტული ჯგუფური გადაწყვეტილების მიღება, TOPSIS მეთოდი, ლინგვისტური ცვლადი, ფაზი-სამკუთხა რიცხვი.